



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება №037/14

1. ფაქტები

ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება და რწმუნებულება. საჩივრის ავტორმა ადვოკატს ჰონორარის სახით გადასცა 2000 (ორი ათასი) ლარი საქმის საწარმოებლად სასამართლოს ნებისმიერ ინსტანციაში და ასევე, თუ საჭირო გახდებოდა, აღსულების ეროვნულ ბიუროშიც. საჩივრის ავტორმა ადვოკატს 2012 წლის სექტემბრის თვეში, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმის განხილვის სტადიაზე, საჩივრის ავტორმა გაუუქმა ადვოკატს მინდობილობა, რაც აცნობა მას. მინდობილობის გაუქმების შემდეგ ადვოკატმა საჩივრის ავტორს არ დაუბრუნა თანხა ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოკლებით.

2. პროცესუალური ისტორია

2014 წლის 24 აპრილს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა დ.ყ.-მ ადვოკატ ა.ჩ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით. განმცხადებლის განმარტებით ა.ჩ.-ის მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი.

საპროცესო კოლეგიამ 2014 წლის 11 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა.ჩ.ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. კოლეგიამ მიიჩნია, რომ ა.ჩ.ს მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი.

3. სამართლებრივი ანალიზი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეების ახსნა-განმარტება და თვლის, რომ ადვოკატ ა.ჩ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა. დისციპლინური ზემოქმედების ფორმად ადვოკატს განესაზღვრა გაფრთხილება.

შესაძლოა, ადვოკატ ა.ჩ.-ს მიერ დარღვეული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი - კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.

განხილვის კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის შეთანხმება საადვოკატო მომსახურების შესახებ არსებობდა ზეპირი ფორმით. საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატისათვის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტა გამოიწვია ადვოკატ ა.ჩ.-სადმი ნდობის დაკარგვამ. ურთიერთობის შეწყვეტამე ადვოკატმა დ.ყ.-ს მოუმზადა საპროცესო დოკუმენტები და წარმოადგინა სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე. კლიენტის წარმომადგენლობის გაგრძელება ადვოკატმა ვერ შეძლო კლიენტის მიერ ხელშეკრულების



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

NEW VISION
UNIVERSITY

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

შეწყვეტიდან გამომდინარე, მხარეებს ხელშეკრულებით ზუსტად დადგენილი არ ჰქონდათ ადვოკატისთვის გადაცემული ჰონორარიდან 2000 ლარიდან რა ნაწილი იყო გათვალისწინებული დოკუმენტების მომზადებისა და მოსამზადებელ სხდომაზე საპროცესო წარმომადგენლობისათვის. შესაბამისად, ადვოკატს უნდა გამოექვითა მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურებისათვის ექვივალენტური სავარაუდო თანხა მის მიერ მიღებული საადვოკატო მომსახურების საზღაურიდან, ხოლო ჰონორარის დანარჩენი ნაწილი უნდა დაებრუნებინა კლიენტისთვის, ვინიდან მან კლიენტის ნების შესაბამისად ვეღარ შეძლო შეთანხმების ფარგლებში მისი წარმომადგენლობა. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.

საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია ადვოკატ ა.ჩ.ის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, წარმომადგენლობისათვის მიღებული ჰონორარის ნაწილის, რომელიც საკუთარი მომსახურებით სამართლიანად არ გამოუმუშავებია ადვოკატს, კლიენტისთვის დაუბრუნებლობის ფაქტი, რითაც დარღვეულია პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით დადგენილი რეგულაცია.